



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
დიდი პალატა

იურბენი ბელგიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 57292/16)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სასაქონლო სასამართლოს

ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

4 ივლისი, 2023 წელი



იურბენი ბელგიის წინააღმდეგ (Hurbain v. Belgium)

განაცხადი N 57292/16

გადაწყვეტილება 04.07.2023

დიდი პალატა

მე-10 მუხლი

მე-10 მუხლის პირველი პუნქტი

გამოხატვის თავისუფლება

ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება

გაზეთის გამომცემელს დაევალა ოცი წლის წინ კანონიერად გამოქვეყნებული სტატიის ონლაინ არქივში განთავსებული ვერსიის ანონიმიზაცია იმ პირის „დავიწყების უფლების“ საფუძველზე, რომელიც პასუხისმგებელი იყო სასიკვდილო ავტოავარიაზე: **დარღვევა არ დადგინდა**

ფაქტობრივი ბარემოებები

2013 წელს განმცხადებელს, ბელგიური ყოველდღიური გაზეთის გამომცემელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით „დავიწყების უფლების“ საფუძველზე დაევალა თავდაპირველად 1994 წელს გაზეთის ბეჭდურ ვერსიაში გამოქვეყნებული და 2008 წელს ონლაინ განთავსებული სტატიის ელექტრონულად დაარქივებული ვერსიის ანონიმიზაცია. სტატიაში სრულად იყო მითითებული G.-ის სახელი და გვარი. იგი იყო იმ ავტოავარიაზე პასუხისმგებელი მძღოლი, რომელიც სასიკვდილო შედეგით დასრულდა. განმცხადებელმა უშედეგოდ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება.

2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სასამართლოს პალატამ, ექვსი ხმით ერთი წინააღმდეგ, დაადგინა, რომ მე-10 მუხლი არ დარღვეულა. 2021 წლის 11 ოქტომბერს საქმე განმცხადებლის მოთხოვნით დიდ პალატას გადაეცა განსახილველად.

სამართლებრივი შეფასება

მე-10 მუხლი

(1) *კანონით გათვალისწინებული ჩარევის არსებობა და ლეგიტიმური მიზანი* – სასამართლოს გადაწყვეტილებით განმცხადებლისთვის დაკისრებული ვალდებულება, განეხორციელებინა სადავო სტატიის გაზეთის ვებგვერდზე განთავსებული დაარქივებული ვერსიის ანონიმიზაცია, წარმოადგენდა ჩარევას მისი გამოხატვისა და პრესის თავისუფლებაში. აღნიშნული ჩარევა „კანონით იყო გათვალისწინებული“ და ის

მიზნად ისახავდა სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას, კერძოდ, G.-ის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას.

(2) იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

(a) წინასწარი მოსაზრებები საქმის ფარგლებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის შესახებ – იმ საქმეების უმრავლესობისგან განსხვავებით, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, მოცემული საქმე უკავშირდებოდა მხოლოდ ინფორმაციის განგრძობით ხელმისაწვდომობას ინტერნეტში და არა თავდაპირველ გამოქვეყნებას. გარდა ამისა, თავდაპირველი სტატია გამოქვეყნებული იყო კანონიერი და არაცილისმწამებლური ფორმით. ბოლოს, საქმე ეხებოდა საინფორმაციო მასალას, რომელიც თავდაპირველად გამოქვეყნდა და შემდგომ დაარქივდა მედიასაშუალების ვებგვერდზე ჟურნალისტური მიზნებისთვის, რაც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების არსებით ელემენტს.

რაც შეეხება „დავიწყების უფლების“ განხორციელების საშუალებებს, სასამართლო გამოიყენებს ტერმინს „დელისტინგი“ (delisting) საძიებო სისტემების ოპერატორების მიერ გატარებული ზომების აღსანიშნავად, ხოლო ტერმინს „დეინდექსირება“ (de-indexing) იმ ზომების აღსაწერად, რომლებიც მიიღება ახალი ამბების გამომცემლის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია იმ ვებგვერდზე, სადაც სტატიაა დაარქივებული.

(b) ზოგადი პრინციპები

(i) მე-10 მუხლი და პრესის ციფრული არქივების დაცვა – ინტერნეტში განთავსებულ არქივებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სიახლეებისა და ინფორმაციის შენარჩუნებასა და ხელმისაწვდომობაში. გარდა ამისა, ციფრული არქივები არის განათლებისა და ისტორიული კვლევის მნიშვნელოვანი წყარო. პრესის ეს ფუნქცია, ისევე, როგორც საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი არქივებზე წვდომისადმი, უდავოდ დაცულია მე-10 მუხლით.

საქმეში *Times Newspapers Ltd v. the United Kingdom (nos. 1 და 2)* სასამართლომ დაადგინა, რომ „სახელმწიფოებისთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლები დაპირისპირებულ უფლებებს შორის ბალანსის დაცვისას, როგორც წესი, უფრო ფართოა მაშინ, როდესაც საქმე ეხება წარსული მოვლენების საინფორმაციო არქივებს და არა მიმდინარე საკითხების გაშუქებას. კერძოდ, პრესას ეკისრება უფრო მკაცრი ვალდებულება, დაიცვას პასუხისმგებლიანი ჟურნალისტის პრინციპები ისტორიული (არა მიმდინარე) ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფისას, რადგან ამ შემთხვევაში არ არსებობს სწრაფად გამოქვეყნების აუცილებლობა“. აღნიშნული დასკვნა უნდა განიმარტოს ზემოაღნიშნული საქმის კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ეხებოდა გაზეთის ციფრულ არქივში იმ სტატიების შენახვას, რომლებიც ცილისმწამებლურად მიიჩნეოდნენ და მათი სიზუსტე ეჭვქვეშ იდგა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროპაში ჩამოყალიბდა ერთიანი შეხედულება პრესის არქივების მნიშვნელობასა და ამ სფეროში პერსონალური მონაცემების წაშლის უფლების გამონაკლისებზე. იმისათვის, რომ პრესამ სათანადოდ შეასრულოს თავისი ამოცანა არქივების შექმნისას, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, აწარმოოს და შეინარჩუნოს სრულყოფილი ჩანაწერები. ვინაიდან არქივების როლია უზრუნველყოს იმ ინფორმაციის განგრძობითი ხელმისაწვდომობა, რომელიც კანონიერად გამოქვეყნდა კონკრეტულ დროს,

აუცილებელია შენარჩუნდეს მათი ავთენტურობა, სანდოობა და სისრულე. შესაბამისად, პრესის ციფრული არქივების მთლიანობა უნდა წარმოადგენდეს მთავარ პრინციპს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს დაარქივებული სტატიის მთლიანად ან ნაწილობრივ წაშლისა თუ შეცვლის შესახებ მოთხოვნის განხილვისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, როგორც მოცემულ შემთხვევაში, სტატიის კანონიერება არასოდეს დამდგარა ეჭვქვეშ. ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებით ეროვნული ხელისუფლებების მხრიდან საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და საკითხის საფუძვლიანი განხილვა.

(ii) მე-8 მუხლი და „დავიწყების უფლების“ დაცვა – მოცემულ საქმეში ეროვნული სასამართლოების დასაბუთება ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა G.-ის „დავიწყების უფლებაზე“. „დავიწყების უფლება“ ეფუძნება ონლაინ სტატიაში მოხსენიებული პირის ინტერესს, წაიშალოს, შეიცვალოს ან შეზღუდოს ხელმისაწვდომობა იმ ინფორმაციაზე, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გრძელვადიანი უარყოფითი ზეგავლენა საზოგადოების თვალში მის აღქმაზე. ამასთანავე, არსებობდა სხვა უარყოფითი შედეგების დადგომის რისკიც: პირველ რიგში, ინფორმაციის თავმოყრა, რასაც შესაძლოა გამოეწვია შესაბამისი პირის შესახებ გარკვეული პროფილის ფორმირება; და მეორე, სათანადო კონტექსტის გარეშე სხვა პირის შესახებ არსებული ონლაინ სტატიის მკითხველს შესაძლოა მიეღო დანაწევრებული და დამახინჯებული სურათი რეალობის შესახებ. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ხშირად ხდებოდა კონკრეტულ სახელთან დაკავშირებული ძიებები, შესაბამისი პირისათვის არსებობდა მუდმივი საფრთხე და შიში, რომ მას ნებისმიერ დროს მოულოდნელად მოსთხოვდნენ პასუხს თავისი წარსული ქცევებისა თუ საჯარო განცხადებების შესახებ, მაგალითად, სამსახურის ძებნისას ან საქმიანი ურთიერთობების დროს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, უზრუნველყოფდა თუ არა მე-8 მუხლი ამგვარი უარყოფითი შედეგებისგან დაცვას და, თუ ასეა, რა მოცულობით.

„დავიწყების უფლება“ თავდაპირველად წარმოიშვა სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადრე გამჟღავნებული ინფორმაციის პრესის მიერ ხელახლა გამოქვეყნების კონტექსტში, ხოლო შემდგომ განვითარდა ახალი ამბების ციფრულ ფორმატში გადატანის პირობებში, რაც იწვევდა ამ ინფორმაციის ფართო გავრცელებას შესაბამისი გაზეთების ვებგვერდებზე. ინფორმაციის ასეთი გავრცელების გავლენა კიდევ უფრო ძლიერდებოდა საძიებო სისტემებში ამ ვებგვერდების მოხვედრით. ასეთ შემთხვევებში საკითხი ეხებოდა არა ინფორმაციის ხელახალ გამოქვეყნებას, არამედ მის განგრძობით ონლაინ ხელმისაწვდომობას. ამ კონტექსტში, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების გარდა, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ეროვნულმა სასამართლოებმა და ხელისუფლებების წარმომადგენლებმა ასევე მიმართეს პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას.

სასამართლოს პრაქტიკაში „ონლაინ დავიწყების უფლება“ დაკავშირებული იყო მე-8 მუხლთან, უფრო კონკრეტულად კი რეპუტაციის პატივისცემის უფლებასთან, განურჩევლად იმისა, რა ღონისძიებები გამოიყენებოდა ამ მიზნის მისაღწევად (სტატიის წაშლა გაზეთის ონლაინ არქივიდან, მისი შეცვლა თუ სტატიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მედიასაშუალების მიერ განხორციელებული დეინდექსირების გზით). დავიწყების მოთხოვნა არ წარმოადგენდა კონვენციით დაცულ დამოუკიდებელ უფლებას და იმდენად, რამდენადაც იგი ექცეოდა მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში, იგი ეხებოდა მხოლოდ გარკვეულ გარემოებებსა და ინფორმაციის კონკრეტულ ელემენტებს.

სასამართლოს პრაქტიკაში მანამდე არ დაუკმაყოფილება არცერთი მოთხოვნა, რომელიც მოიცავდა კანონიერად გამოქვეყნებული, ჟურნალისტური მიზნებით შექმნილი ინფორმაციის წაშლას ან შეცვლას, რომელიც მედიასაშუალების ვებგვერდზე იყო დაარქივებული.

(iii) *საქმეში სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი კრიტერიუმები* – კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების კონფლიქტის მოსაგვარებლად ისეთ საქმეებში, სადაც განიხილებოდა მოთხოვნა პრესის ციფრულ არქივში დაცული მასალის შინაარსის შეცვლის შესახებ (*Fuchsman v. Germany, M.L. and W.W. v. Germany*) სასამართლო იყენებდა საქმეში *Axel Springer AG v. Germany* (პარ. 89-95) ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ამის საპირისპიროდ, ბოლო პერიოდის საქმეში *Biancardi v. Italy*, რომელიც ეხებოდა მოთხოვნას ონლაინ გაზეთის მფლობელისადმი სტატიის დეინდექსირების თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინება, კერძოდ: რამდენ ხანს ინახებოდა სტატია ონლაინ, რამდენად მგრძნობიარე იყო მონაცემები და რამდენად მძიმე იყო დაკისრებული სანქცია.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ შეფასებისას უნდა გაეთვალისწინებინა საქმის სპეციფიკური ბუნება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ საქმე ეხებოდა სტატიის ელექტრონულად დაარქივებულ ვერსიას და არა თავდაპირველ პუბლიკაციას. პრესის არქივების მთლიანობის შენარჩუნების საჭიროებიდან და გარკვეული თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, თანაბარი მნიშვნელობის მქონე უფლებების დაბალანსებისას, როდესაც განიხილება მოთხოვნა ონლაინ დაარქივებულ მასალაში ცვლილების შეტანაზე, უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი კრიტერიუმები: (i) დაარქივებული ინფორმაციის ხასიათი; (ii) დრო, რომელიც გასულია მოვლენებიდან და თავდაპირველი, აგრეთვე ონლაინ პუბლიკაციიდან; (iii) ინფორმაციისადმი მიმდინარე ინტერესი; (iv) რამდენად ცნობილია პირი, რომელიც ითხოვს დავიწყების უფლებით სარგებლობას და მისი ქცევა მოვლენების შემდეგ; (v) ინფორმაციის ონლაინ განგრძობითი ხელმისაწვდომობის უარყოფითი შედეგები; (vi) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი ციფრულ არქივებში; და (vii) ღონისძიების გავლენა გამოხატვის თავისუფლებაზე და უფრო კონკრეტულად, პრესის თავისუფლებაზე.

უმეტეს შემთხვევებში, აუცილებელია რამდენიმე კრიტერიუმის ერთდროულად გათვალისწინება, რათა დადგინდეს პირადი ცხოვრებისთვის მისანიჭებელი დაცვის ფარგლები, მაშინ, როდესაც იგი განიხილება სხვა ინტერესებისა და აგრეთვე იმ ღონისძიებების პირისპირ, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, დავიწყების უფლების კონტექსტში პირადი ცხოვრების დაცვის საკითხი ვერ განიხილება დამოუკიდებლად იმ პრაქტიკული საშუალებებისგან, რომლებითაც იგი ხორციელდება. ამ კუთხით, საქმე ეხება ბალანსის დაცვას იმის დასადგენად, დაპირისპირებული ინტერესების მნიშვნელობისა და კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული საშუალებების გათვალისწინებით, მიენიჭა თუ არა გადაჭარბებული წონა ან „დავიწყების უფლებას“ (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მეშვეობით), ან გამოხატვის თავისუფლებას.

ამ კონტექსტში, საქმეში *M.L. and W.W. v. Germany* სასამართლომ (მსგავსად ევროკავშირის სასამართლოსა (CJEU)) ადრე დაადგინა, რომ „განსახილველი ინტერესების დაბალანსებამ შესაძლოა სხვადასხვა შედეგამდე მიგვიყვანოს იმის მიხედვით, ეხება თუ არა მონაცემების

წაშლის მოთხოვნა ინფორმაციის თავდაპირველ გამომცემელს, რომლის საქმიანობაც, ზოგადად, ის ცენტრალური საკითხია, რომლის დაცვასაც გამოხატვის თავისუფლება ისახავს მიზნად თუ საძიებო სისტემას, რომლის ძირითადი მიზანი არ არის კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, არამედ ამ პირის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის იდენტიფიცირება და პროფილის შექმნის გამარტივება...“

გარდა ამისა, ისევე როგორც მონაცემთა სუბიექტებს არ მოეთხოვებათ თავდაპირველ ვებსაიტთან დაკავშირება (არც წინასწარ და არც პარალელურად) საძიებო სისტემებთან მიმართებით თავიანთი უფლებების განხორციელებისთვის, ასევე ახალი ამბების ვებსაიტის გამომცემლის წინააღმდეგ აღძრული საქმის განხილვა ვერ იქნება დამოკიდებული დელისტირების მოთხოვნის არსებობაზე. სასამართლოს მოსაზრებით, საძიებო სისტემების ოპერატორების და ახალი ამბების გამომცემლების საქმიანობის განსხვავება ინარჩუნებს მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეფასებისას (მათ შორის საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით), როდესაც ეს ჩარევა ეფუძნება დავიწყების უფლების მოთხოვნას.

ბოლოს, არ შეიძლება პრესის თავისუფლებაზე იმ მსუსხავი ეფექტის უგულვებლყოფა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც გამომცემელს ეკისრება ისეთი სტატიის ანონიმიზაციის ვალდებულება, რომელიც თავდაპირველად კანონიერი ფორმით იყო გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, გამომცემლებს ევალებათ გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესთა შეფასება და დაბალანსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პირი ამის შესახებ მკაფიო მოთხოვნას წარადგენს. ამ მხრივ, მე-8 მუხლი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის რეპუტაციული ზიანი, რომელიც გამომდინარეობს დაარქივებული სტატიის განგრძობითი ონლაინ ხელმისაწვდომობიდან, აღწევს გარკვეული სერიოზულობის დონეს, რაც სათანადოდ უნდა დაასაბუთოს აღნიშნულმა პირმა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის დაბალანსებისას ეს ორი უფლება თანაბარ ფასეულობად განიხილება, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პროცესში ყველა კრიტერიუმს ასევე თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. პრესის არქივების მთლიანობის პრინციპი უნდა იქნეს დაცული, რაც გულისხმობს, რომ დაარქივებული მასალის შინაარსის შეცვლა ან, *a fortiori*, წაშლა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რაც მკაცრად აუცილებელია, რათა თავიდან იქნას აცილებული პრესის საქმიანობაზე (ინფორმაციის გავრცელება და არქივების წარმოება) მსუსხავი ეფექტი. ამრიგად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სათანადო ბალანსის დაცვაზე, ერთი მხრივ, იმ პირების ინტერესებს შორის, რომლებიც ითხოვენ სტატიის შეცვლას ან წაშლას და, მეორე მხრივ, იმ გავლენას შორის, რომელსაც ასეთი მოთხოვნები ახდენენ გამომცემლებზე და ზოგადად პრესის ფუნქციონირებაზე, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა.

(c) *კრიტერიუმების მოცემულ საქმესთან მისადაგება* – სასამართლომ შეამოწმა, შეესაბამებოდა თუ არა ეროვნული სასამართლოების შეფასება ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

(i) *დაარქივებული ინფორმაციის ხასიათი* – აუცილებელი იყო იმის დადგენა, ეხებოდა თუ არა ინფორმაცია პირის პირად, პროფესიულ თუ საჯარო ცხოვრებას, ჰქონდა თუ არა მას სოციალური გავლენა, ან მიეკუთვნებოდა თუ არა პირადი ცხოვრების ინტიმურ სფეროს,

რაც მას განსაკუთრებით მგრძობიარეს გახდიდა. სასამართლოს უახლესი პრაქტიკით, სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მონაცემები მგრძობიარე კატეგორიას მიეკუთვნება.

სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ სტატიებში კონკრეტული პირის ისეთი ინდივიდუალური მონაცემების მითითება, როგორცაა სრული სახელი, მნიშვნელოვანია და თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, არც თავდაპირველი გამოქვეყნებისას და არც სტატიის ონლაინ არქივში განთავსებისას.

მოცემულ საქმეში, ვინაიდან ფაქტები სამართალწარმოებასთან იყო დაკავშირებული, შესაბამის კრიტერიუმად მიჩნეული იქნა იმ დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, რომელიც თავდაპირველ სტატიაში იყო აღწერილი. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ტრაგიკული იყო, ის არ მიეკუთვნებოდა ისეთ დანაშაულებს, რომელთა მნიშვნელობაც დროის გასვლის მიუხედავად უცვლელი რჩება. გარდა ამისა, ამ საქმეს ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

(ii) დრო, რომელიც გავიდა მოვლენებიდან და თავდაპირველი და ონლაინ გამოქვეყნებიდან – მოცემულ შემთხვევაში სტატიის თავდაპირველი გამოქვეყნებიდან ანონიმიზაციის პირველად მოთხოვნამდე გასული იყო საკმაოდ დიდი დრო, კონკრეტულად 16 წელი. ასეთ ვითარებაში G.-ის, რომელმაც გაიარა რეაბილიტაციის პროცესი, ჰქონდა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ლეგიტიმური ინტერესი, წარსულის მუდმივად შეხსენების გარეშე.

(iii) ინფორმაციის მიმდინარე მნიშვნელობა – უნდა დადგენილიყო, აგრძელებდა თუ არა სტატია საზოგადოებრივად საინტერესო დისკუსიაში წვლილის შეტანას, ჰქონდა თუ არა მას ისტორიული, კვლევითი ან სტატისტიკური ღირებულება და იყო თუ არა იგი კვლავ აქტუალური თანამედროვე მოვლენების უკეთ აღქმის ჭრილში. ეს შეფასება უნდა განხორციელებულიყო იმ დროის გათვალისწინებით, როდესაც პირმა წარადგინა „დავიწყების უფლებით“ სარგებლობის მოთხოვნა. სტატიის წვლილი საზოგადოებრივ დისკუსიაში შეიძლება დროთა განმავლობაში შენარჩუნდეს, ან თავად ინფორმაციის მნიშვნელობის გამო, ან გამოქვეყნების შემდეგ წარმოშობილი ახალი გარემოებების გამო. ციფრული არქივების ბუნებიდან გამომდინარე, რომლებიც, როგორც წესი, არ ეხება მიმდინარე მოვლენებს, მათი წვლილი საზოგადოებრივ დისკუსიაში უმეტესად გადამწყვეტი არ არის. თუ ასეთი წვლილი არ არსებობს, უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა დაარქივებულ ინფორმაციას სხვა (მაგალითად, ისტორიული ან სამეცნიერო) ღირებულება.

სასამართლოს არ დაუყენებია ექვეყნებ ეროვნული სასამართლოს სათანადოდ დასაბუთებული შეფასება, რომლის თანახმადაც ოცი წლის წინანდელი მოვლენების (რომლებიც ამჟამად არ იყო ისტორიული მნიშვნელობის) შესახებ სტატიაში იმ პირის ვინაობაზე მითითება, რომელიც არ იყო საჯარო ფიგურა, არ ზრდიდა სტატიისადმი საზოგადოებრივ ინტერესს. აღნიშნულ სტატიას საგზაო უსაფრთხოების თემაზე მიმდინარე დისკუსიაში მხოლოდ სტატისტიკური დატვირთვა გააჩნდა.

(iv) იყო თუ არა პირი, რომელიც ითხოვდა დავიწყების უფლებით სარგებლობას, ცნობილი და მისი ქცევა მოვლენების შემდეგ – იმის შეფასება, რამდენად ცნობილი იყო პირი, უნდა განხორციელებულიყო საქმის გარემოებების გათვალისწინებით და იმ დროის ჭრილში, როდესაც მან „დავიწყების უფლებით“ სარგებლობის მოთხოვნა წარადგინა. პირს საჯარო

სტატუსი შეიძლება ჰქონოდა შესაბამის მოვლენებამდე ან აღნიშნული სტატუსი წარმოშობილიყო ამ მოვლენების პარალელურად. გარდა ამისა, შესაძლო იყო პირის საჯარო სტატუსის დროთა განმავლობაში შესუსტება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ყურადღების ცენტრში კვლავ დაბრუნება. ამასთანავე, პირის ქცევა იმ მოვლენების შემდეგ, რომლებსაც თავდაპირველი სტატია ეხებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გამხდარიყო „დავიწყების უფლების“ მოთხოვნის უარყოფის საფუძველი, ხოლო იმ ფაქტს, რომ პირი მიზანმიმართულად არ ჩნდებოდა მედიაში, შესაძლოა პირიქით, მისი რეპუტაციის დაცვის სასარგებლოდ ემოქმედა.

G.-ის საქმე, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობი პირი იყო და არ ცდილობდა ყურადღების მიქცევას, არ გამხდარა ფართო საჯარო ინტერესის საგანი არც იმ დროს, როდესაც მოვლენები მოხდა და არც მაშინ, როდესაც სტატიის დაარქივებული ვერსია ონლაინ განთავსდა.

(v) ინფორმაციის განგრძობითი ონლაინ ხელმისაწვდომობის უარყოფითი შედეგები – იმისათვის, რომ გამართლებულიყო პრესის ციფრულ არქივში დაცული სტატიის შეცვლა, შესაბამის პირს უნდა დაესაბუთებინა, რომ მის პირად ცხოვრებას ადგებოდა სერიოზული ზიანი. სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასდეს, როგორ აისახა ინფორმაციის განგრძობითი ხელმისაწვდომობა პირის საზოგადოებაში ხელახალ ინტეგრაციაზე. ინფორმაციის გამოქვეყნებიდან გასულ დროსთან ერთად უნდა შეფასდეს მოეხსნა თუ არა პირის ნასამართლეობა და განხორციელდა თუ არა მისი რეაბილიტაცია. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ კონკრეტული პირის ინტერესზე, არამედ საჯარო ინტერესზეც, ვინაიდან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებს შეიძლება ჰქონდეთ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ შეძლებენ სრულფასოვან რეინტეგრაციას საზოგადოებაში. ამასთანავე, მხოლოდ რეაბილიტაციის ფაქტი თავისთავად არ ნიშნავს, რომ „დავიწყების უფლება“ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს არ დაუყენებია ეჭვქვეშ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სტატიის ონლაინ არქივში ხელმისაწვდომობას შესაძლოა გამოეწვია G.-ის, როგორც ექიმის, სტიგმატიზაცია და სერიოზულად დაეზიანებინა მისი რეპუტაცია პაციენტებისა და კოლეგების თვალში, რაც მას ხელს შეუშლიდა საზოგადოებაში ნორმალურ რეინტეგრაციაში.

(vi) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონე ციფრულ არქივებში – უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქტიური ძებნის გარეშე (მაგალითად, კონკრეტული საკვანძო სიტყვებით) ციფრულ არქივში განთავსებული სტატია, როგორც წესი, ვერ მიიქცევს ინტერნეტის იმ მომხმარებელთა ყურადღებას, რომლებიც კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციას არ ეძებენ. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს სტატიის ხელმისაწვდომობის დონე, კერძოდ, იყო თუ არა ის ღია და უფასოდ ხელმისაწვდომი, თუ მხოლოდ გამოწერით ან შეზღუდულად. მოცემულ საქმეში განსახილველი სტატიის ონლაინ არქივში არსებობა, რომელიც განთავსების დღიდან იყო ღია და უფასოდ ხელმისაწვდომი, უდავოდ ზიანს აყენებდა G.-ს.

(vii) ღონისძიების გავლენა გამოხატვის თავისუფლებაზე და უფრო კონკრეტულად, პრესის თავისუფლებაზე – ციფრული პრესის არქივების მთლიანობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეროვნული სასამართლოები მსგავს დავებში იმის გადაწყვეტისას, თუ

პირის მიერ მოთხოვნილი ზომებიდან რომელი უნდა გამოიყენონ, უპირატესობას უნდა ანიჭებდნენ ისეთ ღონისძიებას, რომელიც ერთდროულად: საუკეთესოდ პასუხობს განმცხადებლის მიზანს (თუ ის გამართლებულია) და ყველაზე ნაკლებად ზღუდავს გამომცემლის პრესის თავისუფლებას. დასაშვებია მხოლოდ ისეთი ზომების გამოყენება, რომელიც ორივე ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს განმცხადებლის მოთხოვნის უარყოფას იწვევს. აღნიშნული შეფასება შეიძლება განხორციელდეს ხელმისაწვდომი ალტერნატიული ღონისძიებების გათვალისწინებით. მაგალითად, სხვა ზომებთან ერთად, შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება ისეთი საძიებო სისტემის ოპერატორის მიერ, რომელიც თავად არ ქმნის მონაცემებს: (a) შედეგების რიგითობის ისე შეცვლა, რომ შესაბამისი ბმული ნაკლებად გამოჩნდეს ძებნის შედეგებში; ან (b) სრული ან ნაწილობრივი დელისტირება (მხოლოდ იმ ძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავენ შესაბამისი პირების სახელებს) საძიებო სისტემიდან ბმულის ამოშლით. მეორე მხრივ, ვებსაიტის გამომცემელს შეუძლია (a) ამოიღოს არქივში არსებული ტექსტი სრულად ან ნაწილობრივ; (b) განახორციელოს ტექსტში მითითებული პირის ანონიმიზაცია; (c) არაზუსტი ინფორმაციის შემთხვევაში ტექსტს დაუმატოს ციფრული შენიშვნა ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში შეავსოს იგი; (d) ამოიღოს სტატია ვებსაიტის შიდა საძიებო სისტემის ინდექსიდან; ან (e) გარე საძიებო სისტემებიდან განახორციელოს სტატიის სრული ან ნაწილობრივი დეინდექსირება (იმ ძიებებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავს შესაბამისი პირის სახელს), გარე საძიებო სისტემების ოპერატორებისთვის შესაბამისი დირექტივების ან წვდომისთვის აუცილებელი კოდების გაცემის მეშვეობით, რათა მათ კონკრეტულ ინფორმაციაზე წვდომა შეეზღუდოთ.

დაპირისპირებული უფლებების დასაბალანსებლად არსებული შესაძლო ზომების განხილვის შემდეგ (რომელიც შეესაბამებოდა ბელგიაში მოქმედ პროცედურულ სტანდარტებს) ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ G.-ის პირადი ცხოვრების დაცვის ყველაზე ეფექტური გზა, განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციული ჩარევის გარეშე, იყო სტატიის ანონიმიზაცია გაზეთის ვებსაიტზე. სასამართლოებმა გაითვალისწინეს არქივის მთლიანობის მნიშვნელობა. სტატიის თავდაპირველი, არაანონიმური ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი იყო ბეჭდურ ფორმატში და მისი გაცნობა შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რითაც ის ასრულებდა თავისი, როგორც საარქივო ჩანაწერის არსებით ფუნქციას.

თავის მხრივ, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ანონიმიზაცია გამოხატვის თავისუფლებისთვის ნაკლებად საზიანოა, ვიდრე სტატიის სრულად წაშლა. ანონიმიზაცია მხოლოდ აღნიშნული პირის სახელისა და გვარის ამოღებას ითვალისწინებს და სხვაგვარად არ ზღუდავს ინფორმაციის შინაარსს. გამომცემლის ვალდებულება, განახორციელოს კანონიერად გამოქვეყნებული სტატიის ანონიმიზაცია, შესაძლოა მიეკუთვნოს პრესის „ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს“ და იმ შეზღუდვებს, რაც მასზე შეიძლება გავრცელდეს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა, რომ ანონიმიზაციის შესახებ განკარგულებას რეალური ზეგავლენა ჰქონოდა გაზეთის ჟურნალისტურ საქმიანობაზე.

(d) დასკვნა – სახელმწიფოების შეფასების თავისუფლების გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლოებმა ფრთხილად დააბალანსეს დაპირისპირებული უფლებები კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, რის შედეგადაც მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა შემოიფარგლა მხოლოდ იმით, რაც მკაცრად იყო აუცილებელი და რაც, შესაბამისად,

მოცემული საქმის გარემოებებში შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლად და პროპორციულად.

დასკვნა: **დარღვევა არ დადგინდა** (თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ).

(იხ. ასევე: *Times Newspapers Ltd v. the United Kingdom (nos. 1 and 2)*, 3002/03 and 23676/03, 10 March 2009, [Legal Summary](#); *Axel Springer AG v. Germany [GC]*, 39954/08, 7 February 2012, [Legal Summary](#); *Węgrzynowski and Smolczewski v. Poland*, 33846/07, 16 July 2013, [Legal Summary](#); *Fuchsmann v. Germany*, [71233/13](#), 19 October 2017; *M.L. and W.W. v. Germany*, 60798/10 and 65599/10, 28 June 2018, [Legal Summary](#); *Biancardi v. Italy*, 77419/16, 25 November 2021, [Legal Summary](#); and also [Directive 95/46/EC](#) of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data; [Recommendation No. R \(2000\) 13](#) of the Committee of Ministers to member states on a European policy on access to archives, adopted on 13 July 2000; [Recommendation CM/Rec\(2012\)3](#) of the Committee of Ministers to member States on the protection of human rights with regard to search engines, adopted on 4 April 2012; *Google Spain SL and Google Inc. against Agencia Española de Protección de Datos (AEPD) and Mario Costeja González*, judgment of 13 May 2014, [C-131/12](#); Guidelines on the implementation of the court of justice of the European Union judgment on “*Google Spain SL and Google Inc. v. Agencia Española de Protección de Datos (AEPD) and Mario Costeja González*” C-131/12, adopted on 26 November 2014 by the “Article 29” Data Protection Working Group; [Regulation \(EU\) 2016/679](#) of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data; [Convention 108](#) ±, *Convention for the protection of individuals with regard to the processing of personal data* of 18 May 2018)